ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
**G E O R G I A**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა**
**KVARELI MUNICIPALITY BOARD**
ქ. ყვარელი 4800, კუდიგორის ქ. №1 // 1 Kudigora Str., 4800 Kvareli
ტელ-Tel: 0(352) 22 12 12 / 22 08 23 //ფაქსი-Fax: 0(352) 22 12 01 //ელ-ფოსტა–E-mail: kvareli_regioni@yahoo.com

№58 03. 02. 2014 წ

კონკურენციისა და სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს

ყვარლის მუნიციპალიტეტი გამოსაცხადებლად გიგზავნით საკონკურსო დოკუმენტაციას.

დანართი 10 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით ქევხიშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ახალსოფლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის რეაბილიტაცია870000

1. ყვარლის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ხალსოფლის ტერიტორიაზე მდებარე კულტურულ-სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 23400(ოცდასამიათას ოთხასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, საკონკურსო წინადადებები რომლის თანხაც აღემატება 23400ლარს არ განიხილება .

შეფასება განხორციელდება ათ ქულიანი სისტემით

- საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა
- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი(დიზაინი) – 0.6
- ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ანალოგიური ( სამუშაოების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება), მომსახურების შესახებ წარმოდგენილი ხელშეკრულების ქსეროასლები– 0.3
- საკონკურსო წინადადების ფასი – 0.1

4. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 30კალენდარული დღის განმავლობაში დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

მომწოდებელი არ თავისუფლდება წარმოდგენილი საპროექტო და სახარჯტაღრიცხვო დოკუმენტაციის პასუხისმგებლობიდან,მისი მშენებლობის დასრულების ბოლომდე

როექტის განხორციელების ბოლომდე იგი ვალდებული მისი ბრალეულობით წარმოქმნილი და პროექტში აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი დანახარჯებით

ტექნიკური დავალება

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში კულტურულ-სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის,რომლის სავარაუდო ღირებულებაც შეადგენს 870000(რვაას სამოცდაათი ათას) ლარს, საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის გეგმის შემუშავებისას გასათვალისწინებულია:

- განვითარების მიზნები და სტრატეგია
- არსებული ორსართულიანი შენობის, ზომებით 24,6X30,8 კვ.მ., რეკონსტრუქცია.
- საჭიდაო არენის გარე კედლებისა და ვიტრაჟების მოწყობა ფართობით 300 კვ.მ.(კედლები სიმაღლით 1.5მ და სიგანით 20 სმ.

- შენობის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული 11,6X11,6 კვ.მ. ფართობის შემინული სახურავის მოწყობა.
- სახურავის ქვეშ, ანუ ვესტიბიულში მცირე ზომის კინოდარბაზის განთავსება.
- შენობაში განსათავსებელია მუსიკალური სკოლა, ჭიდაობისა და ცეკვის დარბაზები, ბიბლიოთაკა, ხატვის და ჭადრაკის წრეები, ხელოვნების კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი, სასტუმროს ტიპის ფართი, „ტრანაჟორების" დარბაზი კრივის დარბაზის მიმდებარედ.
- არსებული სკვერისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სადაც განთავსდება ფეხით მოსიარულეთა ბილიკები,გაზონები,სკამები, გარე განათება, ურნები.
- ხელოვნურსაფარიანი მინისპორტული მოედნის მოწყობა.
- საბავშვო ატრაქციონის მოწყობა.
- ეზოს საპირფარეშო ოთხ თვალზე

<u>პროექტის აღწერილობა</u>

პროექტის ამოცანაა სოფ. ახალსოფელში კულტურულ-სპორტული გამაჯანსაღებელი ცენტრის შენობის რეაბილიტაცია.

ამჟამად შენობაში განთავსებულია მუსიკალური სკოლა, ცეკვის და კრივის დარბაზები. შენობის პირველი სართულის 80% საერთოდ სარემონტოა და გამოუყენებელია. შენობას გააჩნია სპეციფიკური ფორმა, მისი შუა ნაწილი ზომებით 11,6X11,6მ გადასახურია.

პროექტი ითვალისწინებს არსებული სახურავის რეკონსტრუქციას და 11,6X11,6 ნაწილზე შემინული სახურავის მოწყობას. მოხდება შენობის ძველი ნაწილის კაპიტალური რემონტი, ახლადგადახურულ ნაწილში მოეწყობა ვესტიბიული ანტრესოლით.

გარდა არსებული მუსიკალური სკოლის, ცეკვის და კრივის დარბაზებისა შენობაში განთავსდება ბიბლიოთეკა, ხატვის, ჭადრაკის წრეები, ხელოვნებს კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, სასტუმროს ტიპის ფართი, კრივის დარბაზის მიმდებარედ „ტრენაჟორების" დარბაზი. შემინული სახურავის ქვეშ განთავსდება მცირე ზომის კინო დარბაზი. ასევე საჭიდაო არენის ირგვლივ გარედან მოეწყობა კედლები 1.5მ სიმაღლეზე და ვიტრაჟები წრიული სიგრძის მთელ პერიმეტრზე.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია 3100 კვმ მეტრი ეზოს კეთილმოწყობა და არსებული სკვერის რეაბილიტაცია. სკვერში მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, გაზონები და გამწვანება, გარეგანათება, ბაღის სკამები . განთავსდება საბაშვო ატრაქციონები. ასევე მოეწყობა ხელოვნურსაფარიანი მინისპორტული მოედანი ზომებით 25X35მ.

სარეაბილიტაციო შენობა აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში . შენობის ზომებია 24,6X30,8 მეტრი. როგორც აღვნიშნეთ, შენობა თავდაპირველადვე ისე იყო დაპროექტებული, რომ მისი შუა ნაწილი ზომებით 11,6X11,6მ საერთოდ სახურავის გარეშეა , პირველი სართულის დიდი ნაწილიც გამოუყენებელია.

უკანასკნელ წლებში ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მოხდა შენობის ნაწილის რემონტი-შეიცვალა კარ-ფანჯრები, ჩატარდა შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ამჟამად პირველ სართულზე მიმდინარეობს საჭიდაო და კრივის დარბაზების რეკონსტრუქცია 80 000 ლარის დაფინანსებით . მიმდებარე ტერიტორიაზე „ქართუ ჯგუფის" დაფინანსებით მოეწყო ქართული ჭიდაობის არენა.

მაგრამ შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც საჭიროებს რეკონსტრუქციას, რათ მასში დამატებით განთავსდეს ბიბლიოთეკა, ხელოვნების კაბინეტები, სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეები, საკონფერენციო დარბაზი, ცეკვის დარბაზი და სასტუმროს ტიპის ფართი. ახალსოფელში არ არსებობს მუნიციპალიტეტის კუთვნილი სხვა შენობა, სადაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული წრეების და კაბინეტების განთავსება.

შენობის მიმდებარე სკვერში არ არსებობს ბაღის სკამები, ღამის განათება, გაზონები. არ არსებობს მინისპორტული მოედანი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და უნდა შეიცავდეს:

- განმარტებითი ბარათი
- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა
- გენგეგმა, მიზმის გეგმები
- არქიტექტურული პროექტი(გეგმები, ჭრილები, ფასადები, კვანძები, 3დ ვერსია)
- კონსტრუქციული პროექტი
- ელ.მომარაგება
- წყალგაყვანილობა
- ხარჯთაღრიცხვა
- მშენებლობის ორგანიზაცია (კალენდარული გრაფიკი)
- რენდერები

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ექსპერტიზის ღირებულება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები დღგ-ს ჩათვლით. კონცეფციისა და ესკიზის მიწვდის ვადა 10 დღე, პროექტის ჩაბარების ვადა ხელშეკრულების დადებიდან 40 დღე.

წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი იყოს 4(ოთხ) ეგზემპლარად რომლებსაც თან ერთვის ელქტრონული ვერსიებიარქიტექტურულ პროგრამებში(არქიკადის ან ავტოკადის).

საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას –23400(ოცდასამიათას ოთხასი) ლარი, არ განიხილება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება  დალუქულ კონვერტში და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 11 თებერვლის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ყვარელი მუნიციპალიტეტის გამგეობა, I სართული, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური

7. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 11 თებერვალს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ყვარელი მუნიციპალიტეტის გამგეობა, I სართული, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური

საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების

მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი მისამართზე: ქ. ყვარელი მუნიციპალიტეტის გამგეობა, I სართული, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური

ტელ: 599 85 60 25      გელა სეფაშვილი

## 4. სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულება

(პროექტი )

## ხელშეკრულება №

ქ. ყვარელი „---" --------------- 2014 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის დავით ქვეხიშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ------------------------------------------------------------------------------------ ---------- (შემდგომში მიმწოდებელი) შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო საექსპერტო მომსახურების შესაძენათ, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ---------------------------- ---- სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება -------- -----------------------------------

----------------------- ლარად შეასრულოს აღნიშნული მომსახურება.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") „სახელმწიფოშესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზეთანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2. „შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან"გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს

„შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო საექსპერტო მომსახურების შეძენა
2.2.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს -------------- ლარს;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.2. „მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს თვეში ერთჯერ ხელშეკრულებით გათვალისწინებლი მომსახურების და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10დღის ვადაში

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „მიმწოდებლი „შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ' შემდეგი მონაცემები: გაწეული სამუშაოს დასახელება, მოცულობა და ღირებულება;

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურეობის გაწევის ადგილად განისაზღვრება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული მისამართი;

6.2. „მიმწოდებელი სამუშაოს შეასრულებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებიდან .

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველის" უფლება აქვს:

- „მიწოდებულისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;

- ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება,

ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობებით.

7.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;

- უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება ტექნიკურ დავალებაში, სატენდერო წინადადების განფასებისა და მისი დანართის შესაბამისად;

- იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებადაც მას წერილობით აცნობებს „შემსყიდველი ) საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 . „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ხელშეკრულების ინსპქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი ჯგუფი

9.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

10.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამირი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი)%-ს „შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს „მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია

11.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა..

11.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,

რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი

შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველადავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

დანართი№1.

რეკვიზიტები:

**16.** მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| „შემსყიდველი | |
| ყვარლის მუნიციპალიტეტი | |
| ტელ: (+995) (252) 2-12-01 | |
| მისამართი: ქ. ყვარელი კუდიგორის ქ 1 | |
| საბანკო რეკვიზიტები: | |
| ს.ს. „ლიბერთი" ბანკის ყვარლის ფილიალი | |
| ბანკის კოდი --LBRTGE22 | |
| ა/ნ – GE31LB01 2014 5044 0960 00 | |
| საიდენტიფიკაციო კოდი - 241578574 | |

შენიშვნა: ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.